

საქართველოს ორგანული კანონი

“მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში
ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №45) მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 10.

მოქალაქეს, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, შინაგან საქმეთა პირად შემადგენლობაში, დაინიშნება ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურში ან გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, უწყდება პარტიის წევრობა.”

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს 2007წლის 1 იანვრიდან.